

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 40.

სამბთავარი 26, 1893 წ.

№ 40.

**შინაარსი:**—\* \* \* ლექსი გვაზავასი.—ქართული წიგნის სამკითხველოები იუსტიწე ფანცხავასი.—\* \* \* ლექსი ღუტუშ მეკრელისა.—გრენლანდიის ვეშაპი ე—ლისა.—გულს, ლექსი ი. ივანეშვილისა.—უფბარი საშუალეზა საქართველოს გამდიდრებისა ე. ნინოშვილისა.—ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა გ. წერეთლისა.—შევეჯრებული, ლექსი კნ. ნ. ორბელიანისა.—გამოკრეფილი ამბები,—სახუმარო გასართობი.—შინ მიუსვლელი გლეხი ვოდერძაშვილისა,—მოდები.—განცხადებანი.

\* \* \*



ამიგონე—ნუ გწამს ძმობა,  
აღარაეის მისცე მხარი;  
არ გექნება თანაგრძნობა,  
არ დავინდობს მეგობარი.

დავიშხამავს გულსა ცილი,  
გაგამწარებს მოძმის შური;  
მოძმის ენა—გარედ ტკბილი,  
შიგნით—ბილწი და გველური.

მის ძმობასა დაეხსენი,  
მასთან ნუ გაქვს ნღობაც მცირე  
და სიკოცხლე მოკლე შენი  
მასთან ბრძოლას შემოსწირე.

ტანჯვის აღარ შეგეშინდეს,  
გსურდეს წეივა და ქარბუქი,  
თუ გინდა, რომ გამობრწყინდეს  
მომავლის წმიდა შუქი,—

როცა მტრობა არ იქნება,  
ძმაში ძმასა იცნობს ყველა  
და მადლობით აინთება  
ცის სიერცემო ცისსარტყელა...

შენ ეს აქე დღე და ღამე,  
ეს ადიღე, ეს აკურთხე,—  
და თუ ეინმე გითხრას რამე,  
ზიზღით თველში შეაფურთხე:

იკოდე, რომ იგი სტყუის,  
არ წამს საქმე მეგობრული,  
წმიდის გრძობის, მალალ კუყის  
წინააღმდეგ უძგერს გული;

თეთი მონატრე კაცის მძორის  
ის მხეცია გარეული,  
მხოლოდ—ვაჰმე!—კაცთა შორის  
რალასთეისაც გარეული.

გ. გვაზავა

## ქართული წიგნის სამკითხველოები



ლეს ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ იმის შესახებ, რომ განათლებული და შეგნებული ახალ-გაზღობა სოფლის ცხოვრებას თავს არიდებს და ქალაქის ვაჟუფუნებულ ცხოვრებას ეტანება. მერე რათ არის ეს ასე და ან რა არის ამის მიზეზი?

— მიზეზები, მოგვხსენებთ, ბევრია, მაგრამ ჩვენ ამ მკირე წერილში მათ გამოიხატება არ გამოუდგებით. მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ დაბა-სოფლის ცხოვრება დღეს ჩვენში ჯანესა და წყევლია-შია გახვეული და, ვინ იქნება, იმისთანა გონება-განვითარებული ადამიანი, ამ ბნელეთის სამეფოში გული არ შეუწყუბდეს, ტინი არ აეწყვას და სული არ შეეხეთოსი... ჩაუკვირდით ღრმად დღევანდელი ჩვენი სოფლის ცხოვრების უნუღვიშო ზღვაშარებას და აშკარად იგრძნობთ, რომ განათლებული ადამიანისათვის ეს სფერა ძრიელ ვიწროა. რა ჰქმნას, რა გააკეთოს კაცმა იქ, სადაც ასეთი სიბნელე სუფევს, და ყოველი მხრით ცარცე-ვლგეჯა, კაცის კლა, შური, მტრობა და დაუნდობლობა... იხედვით და ამ თვალ-უწვდენელ უმეცრების წყვილადაც ერთი, ან ორი განათლებული შუქი ბეტუტას, უყურებთ ამ შუქს და სინათლე თან-და-თან თუ აკლდება, თორემ ხელის შეწყობი და მშველელი არაიენ არის, რომ სინათლეს მოემატოს და დაბნელებული არემარე ეაზრწყინვოს. — მტუტავი შუქი რაკი მარჯობა ხელად იგრძნობს თავს, იმედ-დაკარგული, ან მთლად გაჭკრება ამ სიბნელეში და სადმე სინათლეს მიემატება, ან და თავის მოვლეობის ასრულებას შეუდგება. მაგრამ, ოჰ უმეცრება! გამოიღის რომელიმე უზრდელი და ამ მარტოხელ შუქსაც იმდენს უზუნხურებს, რომ ჩაქრობაზედ მიაყენებს. ერთი სიტყვით, განათლებული პირი დღეს სოფელში იმ გვარის პირობებით არის გარემოცული, რომ მისი თავისუფლად მოქმედება შეუძლებელია და მოუხერხებელი, და თუ მაინც-და-მაინც არ დავიშლიათ, იცოდეთ, რომ თავი სასხვეგროდ უნდა გქონდეთ გადადებული. კი ხანია სთქვა პოეტმა: „მსხვერპლი გვიან და ზეარაკო“ და ამიტომ ვისაც თავი სოფელში სამოქმედოდ განუზრახავს, არ უნდა გაუკვირდეს, რომ ხან-და-ხან მის განათლებას სოფლის უმეცრება მსხვერპლად შეიწირავს ხოლმე.

— უტყველია მოგვხსენებთ ერთი გონიერი ქართული ანდაზა: „კი მოქმედს, კი გამგონე უნდაო“ და ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ჯერ-

ჯერობით ჩვენში ხალხი გასაგონად მოუშვადებელია. ამიტომ დღევანდელ ცხოვრებაში ყოველ მოღვაწეს მუდამ უნდა ახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: „თუ მისცემთ სიწმიდეს ძალდა, ნურცა დაუფენ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღირთა, ნუ უკვე დახორგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეტქებთქვენ“... მაგრამ დავინებოთ ამას თავი, რადგან ეს ყველასათვის დღესათი ცხადი უნდა იყოს და თუ ჯერ კიდევ ცხადი არ არის, მხოლოდ მისთვის, ვინც საჭქის შორიდან უყურებს, ან და ცოტად მოიტალსტოვებს, (მოიორობოდებს) ხოლმე.


— მაშ შეგელა არსიდან არისო? იკითხავთ, მაშ სოფელს უმეცრებაში უნდა ხდებოდეს სული და მისი განათლებული შვილები კი გვერდს უტკევენო? გვერდს კი არ უნდა უტკევენ და პირიქით ამათ უნდა შეიტანონ განათლების შუქი ამ წყვილადის მორეში და განათლონ თავისი ძმები, მაგრამ როგორ და რა გზით, აი, საკითხავი? ზოგიერთებს კი ჰკონია, სოფლის კაცს თუ უთხარა, მაგ მამა-პაპურ კაცს ეს ევროპისი გეოთანი სჯობია, ვაზის ავთამყოფობას წამლობა ეთკობოება, მაგ ჩვეულება მაინებელია და მოვიშლიათ, მაშინვე დაგიფრებოდა, მაგრამ სამწუხაროდ საქმით კი სულ სხვას ეჩნდათ. რასთვის? მისთვის, რომ განათლებული ცხოვრების მოთხოვნილება ვერ უგრძენია, საქმის სარგებლობა ვერ შეუგნია და ვერ მიხვდარა. ვაჟონე მოთხოვნილება, აგრძნობნე, რომ ეს ბილიკი სჯობია მაგ ბილიკს, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა დაგეთანხმებთ. სანამ სოფელს გრძობა არ გავლიძებია და განათლებული ცხოვრების მოთხოვნილებას ფესვები არ გაუღვამეს, მანამდე აქ კით თაისუფლად ვერ იმოქმედებს და ევრაიითარ ზედგავლენას ვერ იქონიებს. სოფლის უმეცარ მკვიდრთა გრძობის გასაღვიძებლად და განათლებული ცხოვრების მოთხოვნილების გასაღვიძებლად, ჩვენ მიგვანჩია სხვათა შორის სეროა სკოლები და სასწავლებლები, იმისთანა სასწავლებლები, რომელნიც ნამდვილ ეროვნულ გრძობაზე არიან მომართულნი და თავის ერის საპირობისა და მოთხოვნილების შესაფერ სულიერ საზრდოს იძლევიან. ვინ ელისებს ამისთანა სკოლებს და როდის იქნება ეს ნეტარი დრო, ჯერ არაიენ უწყის. მანამდე კი იმით მაინც უნდა ესარგებლობდეთ, რაც ამ დროში მოსახერხებებელია. ახლანდელ სკოლებთან ქართული წიგნების სამკითხველოების დაარსების სარგებლობა თითქმის ყველასაგან აღსარებელია. აი აქ ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცე-

ლებელმა საზოგადოებამ\* და იმედოვნა ვაკეთებს, თუკი მას თვისი დანიშნულებისათვის არ უღალატონია და ტყუილად არ ატარებს თავის მაღალწოდებას.—ამ მიზნით რამდენიმე ახალ გზად ყმაწვილებმა განიზრახეს დაეარსებიათ სოფელ წყალტუბოში ქართული წიგნების სამკითხველო, რომ ყოველ წერა-კითხვის მკლანდე ადამიანს მუდამ ჰქონოდა საშუალება გონების განვითარებისა და ქვეყნის ამბების შეტყობისა. დღეს ნება-ართვა უკვე მიღებულია მთავრობისაგან, მაგრამ უსაშუალოდისა გამო საქმის რიგინად მოწყობა შეფერხებულია, თუმცა იმ თავითვე ყველამ დიდი შემწეობა აღკვეთიქვს. ყველაზე უფრო დიდს შემწეობას—ხუთი თუმნის ქართული წიგნების შემოწირვას—დაგვიპირდა ჩვენი ცნობილი პედაგოგი გ. იოსელიანი და იმედოვნა მალე შესასრულდება.

არულებს ამ თავის დანიშნულებს ამას გარდა, აქ ამ საქმისთვის იკრიფება შეწირულება და ენახოთ, რა იქმნება ახლა კი უმოზრდილესად ესთხოვ ტფილისის და ქუთაისის წიგნების გამოამკვეთელ ამხანაგობას, წერა-კითხვის საზოგადოებას (ამ საზოგადოების მმართველობას განსაკუთრებით თხოვნა გამოუგზავნეთ) და სხვა-და-სხვა გამოამკვეთლებს და თვით ავტორებს, რომ თითო ფეხმალაირი თავის გამოკვეთებისა დაუთმონ ჩვენს ღარიბ სამკითხველოს და ამით დაეხმარონ გონება-დაძნელებული თავისი მოძმის განათლებას.

გამგე სამკითხველოსა მღვ. იუსტინე ფანცხავა.

მსურველს თავისი წვლილის გამოგზავნა შეუძლია ამ აღიარებით: **Кутавель, Книжный Магазинъ бр. Церетели, священнику Юстину Панцхавя.**



გ რ ე ნ ლ ა ნ დ ი ს ვ ე შ ა ნ ი

**შ**როტი მილოცავს, გაკეთებულხარ, თვითონ დიდ ჰ-ს ებრალებიო და რაღა გინდა? მისი წყალობით წინ წახელო, კაცი შეიქნებოი.

სხვა მეუბნება ბედნიერი ხარ, თვით ლამაზს ჰ-ს შეუყვარდიო და რაღა გინდა, დასტკბი ცხოვრებით, კრიფე და კრიფე ია-ვარდიო.

ბეგრისგან მესმის, ნეტა შენ, ძმაო, ყველა შენ სახელს გაიძახისო და რაღა გინდა? ქება-დიდება, პატივისცემა შენი არისო.

მე კი უნდა ეთქვა, რომ სიბრალული, სიყვარული და ქება, დიდება ჩემთვის საჭირო სულაც არ არის; მე თანაგრძობა მხოლოდ მჭირდება!


დუბუ შერელო.

**შ**ვალის\* მკითხველებს გაცნობილი აქეთ ორ-ნაირი გველშაპის თვისება ხმელეთისა და წყლისა. ისინი არიან ქვეწარმავალნი, ვეება გველები. მაგრამ ვეშაპი სულ სხვაა. ვინ იფიქრებს, რომ იმას ძუძუები აქვს და თავის შეილებს რძითა ზრდის, როგორც კაცი, ხარი, ცხენი, თხა და სხვანი? თუმცა სახე თევზისა აქვს და ცხოვრებს მხოლოდ ჩრდილო-სამხრის ციეს ოკეანეში.

როგორც ზევით მოგახსენეთ, გარეგანი შეხედულებით ის ძალიან გავს თევზს; მაგრამ თევზების გვარს სრულებითაც არ ეკუთვნის. იმას აქვს როგორც ყოველ ძუძუ-მწოვარ არსებას თბილი სისხლი, ფილტვებით სუნთქავს, შეილებს თავის რძით კვებავს და ტვინის აგებულება ოთხ-ფეხსავეთ განვითარებული აქვს. ვეშაპები ოთხი სხვა-და-სხვა გვარისანი არიან. ყოველ მათგანს ქვედა ყბის ძელები სხვა-და-სხვა ნაირათ აქვთ მოწყობილი.

1-ლ გვარს შეადგენენ ნამდილი ვეშაპები, რომელთაც კბილების მაგიერათ სამ-სუთნი რქის ღეროები, ბაღნები აქვს, რომელთაც ეწოდება ვეშაპის წვერები. მეორე გვარს შეადგენენ მარტო-რქა ვეშაპები. მესამეს გვარს ქვედა ყბაზე მძლავრი კბილები აქვს და მეოთხე გვარს ეწეშაპებს ზევიანა ყბაზე და ქვედა-ზედაც დიდი კბილები აქვთ ამოსული.

ნამდილის ვეშაპებს შორის ყველაზედ უფრო შესანიშნავი გრენლანდის ვეშაპია. იმაზედ დიდი ცხოველი აღარ არის დედამიწაზე. თუმცა სივდიო



10 საყენის მეტი არ არის, მაგრამ მაგიერათ მეტად მსხვილი ზოობაა: მისი სიმსხო თაის მახლობლად 6 საყენზე მეტია, სიმძიმით რვა ათასი ფუთია; ოცდაათი სპილოს ოდენია, მარტორქაზედ ორმოცჯერ უფრო მძიმეა, ხარზედ კი—200-ჯერ.

იმის ტანის შესამედს შეადგენ ევებერთელა თვალი. იმსილიდე პირი აქვს, რომ შიგ დიდი ნაღი აღვილათ ჩაეტევა. რა საშიში იქნებოდა ეს ცხოველი,

კბილები რომ ჰქონოდა, მაგრამ კბილების მაგიერათ პირში აქვს ამოსული ასობით რქის მართულები: თითო მართული სიგძით ორი საყენია, სიგანით 15 ვერშოკი. ამას შემდეგ გასაკვირიც არ იქნება, რომ ვერშაპის თაეში დიდი ალაყაფის კარებიც გამოვიდეს. ქვედა ყბაში აქვს დამაგრებული უხარ-მაზარი ხორციანი ენა—სიგძით ორ საყენ ნახევარი და სიგანით საყენ ნახევარი.

ამისთანა პირის მოწყობილება რომ არ ქონა-  
და, ევშაბი სიმბოლით მოკვებოდა. იმას აქეს ძა-  
ლიან წერილი საყლაპავი. მას შეუძლია მარტო წერი-  
ლი თვეები და ზღვის ქიები გადიტანოს ყელში.  
იმათ დასაჭერათ ევშაბი პირდაღებული მიტურაეს  
ხოლმე უქიანემო; როცა პირი ვაქვება, დამუწავს და  
წყალს რქის ბალნებში, ანუ მართულებში გამოუშვებს;  
ენახედ კი მრავალი წერილი თვეში დარჩება. პირის ძი-  
რებითა აქეთ-იქით ამ სილიდე ევშაბს პაწაწინა თვალე-  
ბა აქეს და ცხერი ზემოთ ორი ნახერცტი, საიდანაც  
ის შადრევანად გამოუშვებს ცხერიდან შესულ წყალს  
ნ საყენ სიმალეზედ.

უზარმაზარი თავი პირ-დაპირ უცნოთ უერთ-  
დება ტანს. ზურგი აქეს შვიი და მუცელი თუარი.  
ტანს გარშემო ტუყე ქვეშ სქელი ტონის ლურთი აქეს  
შემოკრული. ტანის ბოლოში ევებერთელა კუდიხ,  
რომილის სიგემ-სიგანე ზეთი კვადრატის საყენი იქნე-  
ბა. კული ევშაბის უმთავრესი იარაღია სასურვად  
და მტრის მოსაგვრებლად. ერთი კულის დაკვირთ  
ევშაბს შეუძლია დიდი ნაფი დალეწოს და მოკლას  
ყოველი ცხოველი. ევშაბებს რომ მათი შესაფერი  
ჰქუა ქონდესთ,—ამბობს ერთი ბუნების მცენიერი,—  
არა თუ ნავეებს, გემებსაც კი არ შეეძლოთ უქიანე-  
ში გაღვება, მხოლოდ ისინი იქნებოდნენ ბატონებათ  
ზღვებისა. ბედად ევშაბი სრულებით უქუთო ცხოვე-  
ლია. ერთელ აწონეს ევშაბის ტუინი და გამოადა,  
რომ ამ სილიდე ცხოველს მხოლოდ ოთხი გირვან-  
ქა ტუინი ქონია, მაშინ პრადესაც თვირონ ევშაბი  
თერთმეტი ათასს გირვანქას იწონიდა. შეილით სიყუ-  
არულის მეტი სხვა გრძნობა მას არა აქეს რა განვი-  
თარებული. შესანიშნავი ევშაბის დამჭერი სკორესბი  
მოგეთხრობს შემდეგს: 1811 წელს ერთმა ჩემმა  
მეჩანგლემ ესროლა ჩანგალი და დაიჭრა პატარა ძუძუს  
მყოვარა ევშაბი, უნდოდა მისი საშუალებით დედაც  
ხელთ ეგლა. გაფოცებული დედა ევშაბი ამოყურუ-  
მალაედა ნაფის გვერდით, სტაცა პირი თავის დაჭ-  
რილ შეილს და სიჩქარით გაკურდა. ამ გვარად მის  
შეილის ტანში შერკობილის ჩანგალს რომ თოკი  
ება, გაღმობარულია ნაფიდან ოთხმოცდა ოთხ საყენი  
სიგემე, მერე ისეგ ზვეით ამოვიდა და სიბრაზით დი-  
წყო იქით-აქეთ სურვა. მოზადირენი ნაფებით არ ეშვე-  
ბოდნენ და კვალში სდედენ, რომ თვით დედისთვის  
ესროლათ დიდ-დიდი ჩანგლები; ევშაბი თითქოს ვერც  
კი ხედაედა იმათ, სულ თავის შეილის ჯავრს გადა-  
ჰყოლოდა.

ბოლოს როგორც იქნა ერთი ნაფი მიუახლოე-  
და ევშაბს; ესროლეს ჩანგლები, მაგრამ მარჯვეთ ვერ

ჩაასვეს ევშაბის ტანში, მიერეთაც ასეგ მოხდა, ძლიეს  
მესამეჯერ ერთი მსხვილი ჩანგალი ღრმათ ჩაერკო-  
ტანში; მაგრამ არც აქ მიატოვა ევშაბმა შეილი; მას  
მიუახლოედა სხვა ნაფებიც და ერთ საათს შემდეგ  
ევშაბი სისხლისგან დაიწრიტა და უსულოთ ამოტიე-  
ტიედა ზღვის ნაპირახე. ევშაბი თუ თავის შეილს  
გაჭირებებში ხედაეს, ძალიან აფთრებდა და ამ ღროს  
საფრთხილოა. ის უშიშრათ მივიარებდა მტრებს და  
აქეთ-იქით ურტყამს უზარ-მაზარ კულს, რომელიც,  
თუ რამეს მოხედა, უსათუად დალეწს. როცა შეი-  
ლის ჯავრი არა აქეს, მაშინ ევშაბი სრულებითაც  
არ არის საშიშარი, ჩიტი რომ დააჯდეს ზურგზედ,  
იმასაც კი შეუძლია გააფრთხოს ეს ევება ცხოველი;  
მაშინვე გაქვანება უქიანეს სიღრმეში.

ამის გამო უფრო უძლეური მტრები ერევიან  
ევშაბს.

თვეებს შორის ევშაბის მოსისხლე მტერი მახე-  
ლა-თვეში და აკულაა. პირველი მტერი ჰკვირავს  
მას თავის მახეილით, ხოლო აკულები ჯოგათ შეი-  
ყრებიან, დაეგვევიან საკლადეს ცხოველს და კბილე-  
ბით ჰგლეჯენ მის ხორკს. ხან-და-ხან აკულა და  
მახეილა-თვეში შერთდებიან ევშაბზე სანადიროთ.

ერთელ დილას, გვიამბობს კაბიტანი არნი, გემ-  
რიდის კუნძულებთან, გემიდან საშინელს ომს შეეც-  
წარით საოკარ მახეილიანს თვეებსა, აკულებსა და  
ევშაბს შორის. გამოჩნდებოდა თუ არა ევშაბის ზურ-  
გი წყალს ზეით, აკულები ახტებოდნენ რამოდენსამე  
აღლზე, დაეცემოდნენ მას ზურგზე და გძელი კულ-  
ბით სტემდენ სატიკად. ისეთი მხაურობა ისმოდა, გვეო-  
ნებოდა, თოფებს ისერიანო; ამდროს, მახეულა თვეები  
ქვეედან ჩხელეტდენ საზარლო ცხოველს, როცა ევშა-  
ბი ზღვის პირად გამოჩნდებოდა, მის გარშემო წყალი  
სულ სისხლის ფრათ შეიღებებოდა. ასე წყალობდა, ის  
სანამ არ გაგეშორდნენ და თვალიდან არ მიგვეფარენ.  
მე დარწმუნებული ვარო, ამბობს არნი, რომ ისინი  
ევშაბს მალე მოულებდნენ ბოლოს. ამ თვეზებზედ უფ-  
რო მძინეარე და შემედეგი მტერი ევშაბისა—არის  
ერთნაირი კბილეთიანი ევშაბი, რომელსაც კასატკას  
ეძახიან. ახლა ინგლისში მას ტყუილათ კი არ ეძა-  
ხიან ევშაბზე მონადირესი. ისინი მოგროვებებიან, დაე-  
ცვიან თავს ევშაბს და არ მოეშევიან, სანამ სულს არ  
ამოაძრობენ. ზოგი ენას გლეჯს, ზოგი ტუჩებს, ზო-  
გი გძელ კულს ურტყამს.

ევშაბი საკლადეად ბღაისს, კულს აქეთ-იქით  
ურტყამს, მაგრამ რას გახდება? ერთს რომ მოკლავს  
მის მავერიტათ ათი მოვა. შესანიშნავი ის არის, რომ  
კასატკები არასოდეს არ შესვამენ მოკლულ ევშაბს.

ისინი მხოლოდ სიმძულვარისა და არა შიშხილის გამო კლავენ მას. მაგრამ ყველა მტრებზე უფრო საშიშარი მტერი ეშმაისათვის მაინც კაცია. ყველ წლიე ის გზუნის მრავალ გემებს მის დასაჭერათ, რადგანაც იმის რქის მართული ანუ ბალანი და ქონი ძალიან გამოსა-დგვია. ამის გამო ახლა ეშმაი მხოლოდ მივარდნილ ადგილებშია უწინ კი ყოველგანმრავალი იყო.

უფრო წერილი მტრებიცა ჰყავს უბედურ ეშმას, ზღვის სარდაფის ქვიბი და ცხრა-თათები ათასობით აჯღებნიან ზურგზედ და ისე უსისხლიანებენ ზურგს, გვერანება ეფეხმა, ან ლომმა გაატყაუაო. ფრინველები, ასხდებიან ზურგზედ ეშმას და ყლაპავენ კი ამებებს, წერილის ქვიბს. ზღვის რკობებიც შამოეწყებნიან გარშე-მოა ეშმას და ძალიან აწუხებენ. ხან-და-ხან ეშმას იმდენი ზღვის მცენარეები და ცხოველები დაატეს ზურ-გით, რომ შორიდან კუნძული გვერანება.

ე—ლი

### გ უ ლ ს




აწუწარდი, გულო, ნუ ჰღელავ, მაქმარე ესდენ ტანჯვები; რის თქმაც გასურს—იმას ვერ იტყვი და თქმითაც ვერას გახდები.

—

თუნდა სიტკვა, სხეები გაგკილვენ  
შეგებნიან—გარძობასა...  
შენი კალამი ვერ გასტეგს  
უჯიშო კაცის მტრობასა.

ი. ივანაშვილი.



### უებმარი საშუალემა საქართველოს გამდიდრებისათვის

ჩემო კარგო ქვეყანავ, რისთვის მოგიწყენია?  
აწმყო თუ არ გწავლობდა, მომავალი შენია.<sup>4</sup>  
თ. ილ. ჭავჭავაძე.

(დასასრული)



ნი Plebs-ს კი ვერ აშინებს ზემოხსენებული და-ბრკოლება. მას მხოლოდ მეორე დამაბრკოლებე-ლი მიუზნისა ეშინია. ეს ვახლავს, როგორც ზვეით მოვასხენეთ, ერთი უჯურა თანხელი ახალგაზღვაბა, რომელიც „კვალს“ თანამშრომლობს. მაგრამ ყვე-ლაზე უფრო მსუბუქი ქუვა-გონების პატრონად ბ. Plebs ხსენებულ ახალგაზღვებში ლ. ფურცელაძე და მე მივიჩნეობთ. სწორედ ეგენი არ გამოდგებიან თანხმა ორი ათას კარგს ტენოლოგზე და ამდენსავე აგრონომზე“ ო, ფიქრობს ბ. Plebs. მართალია, ის (ბ. Plebs) პირის საფერაოდ ამბობს: იმითი (ლ. ფურცელაძისა და ჩემი) „ხტუნობა“ და „ლოკიკი“ სასიამოვნო სანახაიეც არისო. მაგრამ ეგ როგორც მოვასხენეთ, საპირისფეროდ არის ნათქვამი, თორემ როცა დაუყვირდებით ბ. Plebs-ის „მასლათს“ მის სიცილეში ტირილი შემოგესმებათ.

რომ ჩვენ (ლ. ფურცელაძე და მე), ბ. Plebs ის აზრით, მსუბუქი ქუვა-გონების პატრონები ვართ, ამისი დასამტკიცებელი ფაქტები ჩვენსავე სტატიაში უპოვინა ბ. Plebs-ს.

მაგრამ ახლა, მოდი, ჩვენც კვალში ჩაეუდგეთ და განვიხილოთ მუხლებად, რამდენად მართალია მისი გავნეთის „ივერიის“ აზრები.

აგილოთ მაგალითად სტატისტიკური ცნობები მზე, რომელ სახელმწიფოში რამდენი გირეანქა სტერლინ-გი მოდის სულზე: „ინგლისში სულზე მოდის (იივე-

რია“, № 178) 270 გირეანქა სტერლინგი, ჰოლან-დიაში—240, ამერიკის შეერთებულ შტატებში—219 საფრანგეთში—218, დანიაში—198, შვეციაში—152, ბელგიაში—145, გერმანიაში—140, საბერძნეთში—107, ავსტრი-ვენგრიაში—95, ისპანიაში—93, ზორ-ტუგალიაში—86, იტალიაში—82, რუსეთში—553. ამ სტატისტიკიდან სჩანს—ამბობს „ივერია“—ყველა-ზე შეძლებული და მდიდარი მხარე ყოფილა ინგლი-სი, ჰოლანდია და შეერთებული შტატები, ყველაზე ღარიბი—რუსეთი.“ აბა, მობრძანდით და გავიეთ აქ რაიმე ინგლისში სულზე მოდის 270 გ. სტერლინ-გი და ყველაზე მდიდარია, რუსეთში კი 553 გ. სტ. (ივერიის“ სტატისტიკით) და მაინც ყველაზე ღარიბია!?! მერე რა?.. შემოგვებნებს „ივერიის“ დედა ბურჯი. კორექტორული შეცდომა იქნებაო, დიან. შეცდომა ვახლავთ, მაგრამ ეინც ამას მიხედვება, იმას სტატისტიკური ცნობები უნდაწინვე ქონებია და „ივერიის“ შეცდომებით საესე სტატისტიკა არაფერ-ში ესაჭიროება, ზოლო ვისაც ესაჭიროება, ის კი ეერას გაიგებს „ივერიის“ სტატისტიკიდან. ამას გა-რდა კიდევ „ივერია“ სხვის კორექტორულ შეცდომე-ზედ გაიძახის: „რას მიქვიან კორექტორული შეცდო-მა! როგორ შეიძლება“ო. საწყალი აღნიაშვილი კი-ნაღამ უჯარს აცებს ერთი უბრალო კორექტორუ-ლი შეცდომისთვის. მაშასადამე „ივერიას“ არ მიე-ტყეება კორექტორული შეცდომა. 2, ახლა დაფუყვი-რდეთ თითონ ბ. Plebs-ის ლოლიკას.

— მეცა და ბ. მეველემო ძლიერ კარგათ ეი-ციოთო—ამბობს ბ. Plebs—რომ ქვეყნის ბურჯს მა-რტო სპეციალისტები კი არ შეადგენენ, არამედ ყო-ველი განათლებული პირი, რომელიც შეგნებულად იღვწის თავის ერის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. დაღ, ეს კარგად იციან ბბ. მეველემ და Plebs-მა, მაგრამ „ამ ყამად“ კი მაინც ურჩევენ ჩვენს ახ-

\*) იხილეთ „კვალს“ მე-35 №-რი.

აღგავზომას — ყველა განათლებული კაცი კი არ არის საჭირო, არამედ ისეთი, რომელთაც შეუძლიათ შემატონ ქვეყანას სიმდიდრეო! ახლა მომხანდით და გავიგეთ აქ რამე! თუ ყველა განათლებული მოღვაწე ქვეყნის ბურჯია, მაშ რაღად უჩიერვენ ბბ. მეველე და Plebs ჩვენს ახალგავზომას რაღად ერთ გვიარს, ცალმხარაი მენიერების შესწავლას, რომლითად მხოლოდ ვითომ და შეიძლება ჩვენი ერის გაბედნიერება?! ნუ თუ ამ ბუნდოვან აზრზე ბევრად ადვილი გასაგები არ არის, რომელიც გნებავთ ფილოსოფიური სისტემა, თუნდ მეტაფიზიკურიც იყოს ეს სისტემა? ბიუროკრატიული სახელმწიფოა ჩინოვნიკებს\* ზრდის, ამიტომ აღზრდის სასწრაო ცალმხარად არის გადახრილი და მისთვის ნაშრომი ინტერესებად, ტენოლოგებად და სხვა ამ გვარ საეკიალისტებად დაიხარალოს ჩვენი ახალგავზომაო. მერე ბიუროკრატიულს სახელმწიფოში ინტერესები, ტენოლოგები, ექიმები და სხვა კი არ მიიდან ჩინოვნიკებად? ან ბიუროკრატიული სახელმწიფოს კანონებზე არ არის ყოველივე ჩვენი საქმე, შინ თუ გარედ, დამოკიდებული? განვიც კანონები არ უღვას ყოველსავე საქმეს, კერძოს თუ საზოგადოს, სათაურში? ცხადია, აქ სხვათაირად ეჭირება შეხედვა საქმეს. ორი ათასი ტენოლოგი და ამაღნივე აგრონომი ვერას გვიშეგოს, რადგანაც შესაძლებელია სულ ყველა სახელმწიფო სასახურში შევიდეს, თუ ბიუროკრატიულმა სახელმწიფომ მოითხოვა, მით უმეტეს, რომ ოჯახის გაუმჯობესობის საქმე ისევე იმავე სახელმწიფო კანონზე იქნება დამოკიდებული და თუ ეს დამოკიდებულება ხელს უშლის მოამქმედს, მაშინ ის ისევე არჩევს სასახურს და სახელმწიფოა ჯამაგირს. დასასრულთ თუ ბ. ა. მეველესა და Plebs-ს ამ ქაზად მხოლოდ უფროსთა\* (თავად-აზნაურობა უნდა ეიგულსსხმოთ) გამდიდრება აქეთ მხედველობაში (ეს მე პირველ ჩემს სტატიაშიაც მოკახსენეთ, ეგრევე მეტოქი), ჩვენს ერზე\* ლაპარაკით რაღა გეპძულებენ თავს? ნუ თუ არ იციან, რომ მარტო უფროსნი\* ერს არ შეადგენენ?! მართალია, ბ. Plebs-ი ადვილი იწირობებს ამ კითხვას თავიდან ერთი გაცეთილი ანდაწითი: „ღვინო არსად იუ“ და გუდას აღბობდენ“-ო, ვითომ-და ჯერ რა დროს უმცროსებზე\* ლაპარაკია, უფროსნი\* არ გამდიდრებულანო, აცათ, ჯერ ეგენი (უფროსნი) დამდიდრდენ და შემდეგ ნახეთ, თუ უმცროსნი\* არ გაეიხსნეთო; მაგრამ ვერ დაუეჭვებთ ბ. Plebs-ის სიტყვით ჯერ სიმდიდრე არსად არის, მაგრამ მაინც კი აილა ბ. Plebs-მა და უფროსებს და მათ ძალღებს არკუნა. ნუ თუ წარმოსადგენია ამას შემდეგ, რომ როცა სიმდიდრე განდდება და უფროსნი\* და მათი ძაღლები დაისაკუთრებენ, უმცროსთა\* გაუყონ?! არა ბ. Plebs,

უმჯობესია ამ თავითვე ისე მოვაშალოთ გულები, რომ როცა ღვინოს შევიძენთ, უფროსებსაც\* და უმცროსებსაც\* ჰქონდეს ნება მისი სმისა, მით უმეტეს, როს უმცროსებს\* ყოველთვის უფრო დიდი შრომა ხედება წილად ღვინის შეძენის დროს.

3. ბ. Plebs-ი მებრალვებს, თითქო მე ფეტირობდე სიმდიდრე ბოროტება\* მეთქი. მაკვირებს, ბ. Plebs-ი, რომელიც ისე კარგა კითხულობს და უწერავს, რისთვის ვერ წაუკითხავს ჩემს სტატიაში დაწერილი შემდეგი სტროქონი: „არც სასურველია მრეწველობის შეფერხება არც ერთი ქვეყნისთვის მეთქი? სიმდიდრე თავისთავად ბოროტება კი არაა, ბედნიერებაა, მხოლოდ სიმდიდრით შეუძლია ადამიანს დააკმაყოფილოს თავის ათასგვარი მოთხოვნილება. მაგრამ უთანასწოროდ განაწილებული სიმდიდრე თუ გნებავთ, ბოროტებაც გახლავს.“ ინგლისშია — ამბობს ელეონორა მარკს-ეველინგი — ხუთ ადამიანში ერთი უმკველად უქმელობისაგან დასუსტებით კვდება.“ აქაური დოკების მუშებშია — ამბობს იგივე ბ-ნი მარკსი — ძლიერ ხშირად შეხედებით ისეთებს, რომლებმაც მხოლოდ თავისი სახელი იციან და გვარი კი არა, იქ სადაც დგას, როცა სჭირია, თითონუნდა მიგოდვებს, თორემ ადრესი არ იქისია\*. ნუ თუ ასეთი ადამიანი, რომელმაც არც თავისი გვარი იცის, არც თავის ადრესი, მგერით მალლა დვას პირუტყვზე? ეს გაზღვის იმ ინგლისში, რომლის შესახებაც იმერისი\* სტატისტიკოსი ამბობდა ყველაზე მდიდარიაო. ჩვენც ცუთანხმებით — ყველაზე მდიდარი სახელმწიფოა ინგლისი, სადაც სულზე მოდის 270 გ. სტ. კაეკსიაში, სადაც 50 გ. სეტროლინგი ძლიეს მოვა სულზე, ვერსად შეხედებით ისე გაპირუტყვებულს ხალხს, როგორც ინგლისის მუშებში ყოფილან. აქ ოითქმის ვერ ნახავთ, რომ ქუჩაში სალი ადამიანი სიმშილით კვებულდეს; ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ აქ (კაეკსიაში) ჯერ-ჯერობით სიმღერე არ გამხდარა რამდენისამე კაცის საკუთრებათ, (თუმცაღა კი უსწორმასწორობა აქც არსებობს), ცოტად თუ ბევრად თითქმის ყველ ას მოგებობა დღეს ჩვენ ში საჩიროსადადგებლი. მაგრამ აკერ-აკერ იჩენს თავს ჩვენშიაც მრეწველობა და კაპიტალისტური წეს-წყობილება. იმას არც ჩვენი ნება-ართვა ეჭირება და არც ჩვენი ქება-დიდება. მოდის ჩვენთან დაუკითხავად. ინტელიგენციისა და მწერლობის მოვალეობა ამ შემთხვევაში ის არის, ისე მოუშალოს ნიადავი სიმდიდრეს, რომ მუშის თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შემშილით არ კვებულდეს და მდიდრის ძალს ამ დროს დღემო თუმიანი არა ჰქონდეს. ამიტომ სჭირია მიეპრობოთ იმავე ევროპას, საიდანაც მრეწველობა მოდის და ვაეიცილოთ — რა ნაირ სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცვლილებას თელიან იქ საჭიროდ


„უმსკროსნის“ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობისთვის.

ასე, ჩემო მკითხველო, ცალმხარი სიმდიდრე წუ გავახარებს, სანამ გულეში ისე არ იქნებიან მზადებული, რომ ყველა გამარჯულს შეეძლოს იპისავან ღირის სმა. იქნება გეთხოზან: რაც უნდა იყოს, მაინც უნდა გიხაროდნენ, რადგანაც ქართველი კაცი შენი მომე გამდიდრდება. ვერაფერი ნუგეზია, ჩემო კარგო, თუ კი ჩვენ „უმსკროსნი“ სიმშლით დაეინობებით. ჩვენებური ანდაზა: „თუ შეშქამს, გინდა შეგიტყოს მგელს შევეუქამივარ და გინდა შინაურ ძალსაო, მაინც შექვა და შექვა“ ო.

მაგრამ დროა დავესწინათ ჩვენს პაწაწინა ბურჟუებს, იმათ თუნდა Plebs-ობა დაითქვან და თუნდა გრატობა, ვე სულ მოსატყუებელი სახელები იქნება, რადგანაც ისინი ყოველთვის და ყოველგან პატრიოტების ინტერესებს დაიცავენ.

4, ერთი კითხვა კიდევ უნდა მიეცეთ Plebs: თუ სადღეობზე ნათქვამი სიტყვების და სადღევრძელოების ბეჭედვა არ არის ურიგობა და ასეთი სიტყვა—სადღევრძელობით „იერიის“ ფურცლები იფეზბოდა, სალიტერატურო სალაშობზეზე ნაღაპარაკვის „ქვალში“ დაბეჭედა რატომ უნდა იყოს ნეტავ უზრდელობა და ურიგობა?

ე. ენოშვილი.



ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა

**ს**ტორიოსი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან *χρημα*, რომელიც ნიშნავს ადგილს; აქედან სიტყვა *χρημα* ნიშნავს მოადგილეს, სხვის მაგიერს. სტენოფონტი თავის თხზულებაში ერთგან ასე ამბობს: *ἐν χρημα ἄνευ ἀποστασίας* — ვისიმე ადგილის დაქერა.) მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული ქრისტიანულს საღვდლოებაში უფრო-და-უფრო გავრცელდა ბერული, განდგომილი ცხოვრება. ზოგს ებისკოპოსს, როგორც სულიერს წინამძღვარს, ეთაკილებოდა საერო საქმეების მართვა თავის ქვეშევრდამთა და ამისთვის იმათ აღირიგეს თავის მოადგილეებათ, ანუ თანამეშვერებათ, ისრედ წოდებულნი, მთავარ-ადიკანები, რომელნიც ირიცხებოდნენ ებისკოპოსების წარმომადგენლებად ეროვნულ სამწყსოს მართვაში და ეწოდებოდათ სახელად ქორიკოსები. ისინი იყვენ ეპარხიზაში საერო და სამოქალაქო საქმეების გამგენი, შემოიღიდნენ ყოველ წლობით ებისკოპოსის სამწყსოს და ჰკრფდნენ სასულიერო წოდებებს სარჩენს ხარჯს. ასეთის ებისკოპოსის მოადგილეს არხიდიაკონს, ანუ ქორიკოსს ნება ჰქონდა, ზოგიერთი ღვედელთ-მოქმედება ებისკოპოსისადაც აესრულებინა, თუ საჭიროება მოითხოვდა. „კარგათ არ არისო გამარჯველი — ამბობს ჯემსი რამბერტსონი-როდის შემოიღეს ასეთი თანამდებობა არხიდიაკონისაო. კართავენში, როგორც სჩანს, იგი შემოღებულა მესამე საუკუნეში, რადგან მას წმინდა კობრიანე ჯერ კიდევ არ იხსენებს; მაგრამ წმინდა კობრიანე რომ გადაიკვალა, ორმოც-დაათს წელს შემდეგ ცეცილიანმა ებისკოპოსს მანსურიასთან იხსენება მის მო-

ადგელ არხიდიაკონათ... მეოთხე საუკუნეში არხიდიაკონი იყო უმთავრესი თანამეშვერ ებისკოპოსისა. იგი განაგებდა მის ეპარხიზას და ისე უფურცდნენ მას, ვითარცა მოადგილეს და მემკვიდრეს ებისკოპოსისას, როცა იგი გადაიცვლებოდა...“

ქორევისკოპოსების მდგომარეობას ზოგჯერ თვით ებისკოპოსებიც სითვალხარბით შეზყურებდნენ, ისეთი გაუქვნიანები შეიქმნენ თავიანთ სამოურავოში. ამისთვის ლაღიციის კრებამ დაადგინა, რომ ქორევისკოპოსებს არაფერი არ უნდა ეცეთებინათ ებისკოპოსების ნება-დაურთველად. მაგრამ მესუთე საუკუნეში ქორევისკოპოსები უკვე მოიხსენებინ ხალკიდონის კრებისზე, როგორც წვეწინი კრებისა, ესე იგი ებისკოპოსის ხარისხით, თუმცა ისინი იყვენ ზოგიერთ ებისკოპოსების მიერ მხოლოდ თავის მაგიერად და არა ნამდვილ ებისკოპოსის ხარისხით გაგზანდინი კრებაზე.

ამ ღირსების საღვედლო პირები შემდეგ საუკუნებშიაც ჩნდებიან, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეკლესიაში. მაგალითად მეორე ნიკეის კრება (787 წელს ქრ. შემდეგ) იხსენებს ქორევისკოპოსებს, რომელთაც შეეძლოთ განწყესებინათ მხოლოდ მედეთინე, ანუ პრიმეტენი და ისიც მამონ, თუ ებისკოპოსი უბრძანებდა; მის ნება-დაურთველად კი ვერ გაბედედა. მამასადამე ამ დროის ქორევისკოპოსი უნდა შედარებოდა ახლანდელ დეკანოზ-ბლაღოჩინს, რომელიც განაგებდა ეპარხიის ქონებას. როგორც სჩანს, იმ პირველ ქრისტიანულს ხანებში იგი იყო მხოლოდ მოურავად საეკლესიო ქონებისა, რომელსაც ერქვა ბერონულად ქორიკოსი. შემდეგ მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებში ისინი გაძლიერდნენ ეროვნულ უფლების მიტაცებით. მამონ ამ ადგილებზედ დაუწყეს განწყესება ნამდვილის ების-

1) იხილე გამოკვლევა Grichisch-Deutsches Wörterbuch Jakobitz und Seiler, Seite 1321.



კოპოსობის ხარისხით შემკულთა, რომელთაც ამის-  
გამო ქორებისკოპოსები ეწოდათ; რადგან ლეღელ-  
მოქმედებასთან ერთად იკინი ასრულებდნენ საერო და  
სამოქალაქო უფლებასაც თავის სახმანებელში. მე-  
თერთმეტ საუკუნეში ეპისკოპოსებსა და მის მოა-  
დგილთა, ესრედ წოდებულს, ქორებისკოპოსებს შო-  
რის აღიძრა დიდი ბრძოლა და ერთმანეთის უფლე-  
ბის მიტაცება გერმანიასა-საფრანგეთში. „გატშალკმა“  
რომ ამის გამო არეულობა მოახდინაო — ამბობს  
ჯემსი რომერტსანი თავის თხზულებაში (გვ. 1005) —  
ამან კიდევ უფრო გაამწვავაო ბრძოლა და ჩხუბი ამ  
ორგვარის შრედატებს შორის. ამ დამაწმენდიდან ისიც  
ცხადთ სჩანს, რომ დასავლეთის ევროპაში დაბალი  
ხარისხის პრელატები იწოდებოდნენ ქორებისკოპოსე-  
ბად.

წინა წერალებში ჩვენ მოვიყვანეთ მოსე ხორენე-  
ლის დაშორება, რომ თრღატ მეფეს მეფეთე საუკუ-  
ნეში წინარების ქვეყანაში განუწყობებია ეპისკოპოსის  
გრიგორისი ქორებისკოპოსად. ეს წინარები ბროსისეს  
შემეცნებით ჟღერდა ყოფილიყვენ დღევანდელი უფინები,  
რომელთაც იმ დროს სკერიათ ნუნა-დალისტანი. მეათე  
საუკუნის მწერალი მასსუდი ამ ქვეყნის მთავრებს, რო-  
გორც ვიცით, უწოდებს ქორიკოსებად, ანუ ქორების-  
კოპოსებად. მაშასადამე, ყველსათვის ცხადი უნდა იყოს,  
რომ ღირსება-ქორიკოსი, ანუ ქორებისკოპოსი, ძველ  
ქრისტიანულ დროის საერო-სასულიერო გამგებლები-  
საგან არის წარმომდგარი. როდესაც ამ უფლებას სალდე-  
ლო პირი ჯერ არჩივდაკობობაში (მესამე და მეო-  
თხე საუკუნეში), ხოლო შემდეგ დეკანოზობაში (მე-  
ხუთე საუკუნეში) — ასრულებდნენ, მაშინ იმათ ეწოდე-  
ბოდათ ქორიკოსები; მერე, როცა ამ თანამდებობა-  
ში განწყობდნოდნენ ეპისკოპოსები მერე, მეცხრე და  
მეათე საუკუნეში, მაშინ იბანი ირქმევდნენ სახელად  
ქორებისკოპოსებს. მაგრამ ამ გვარი გამგებლების, ანუ  
მთავრების სახელწოდება კი ერთი და იგივე მნიშვნე-  
ლობისა იყო, ესე იგი ის იყო ეპისკოპოსის მოადგილე,  
რომელსაც ბერძნულად ეწოდებოდა ქორიკოსი, ანუ  
ქორებისკოპოსი. ასეთი მოურაობის აღმნიშვნელი  
სახელწოდება მეათე და მეთერთმეტე საუკუნეში შე-  
მოულათ ავრეთევე კახეთის მთავრებსაც თავიანთ  
მეზობელ წინარების მთავრების მიხედვით. ამ სახით  
ეს სახელწოდება ქორიკოსისა, ანუ ქორებისკოპოსისა  
დროსა-და-დროს განმავლობაში მთავრობის ღირსე-  
ბის აღმნიშვნელად გადაქცეულა მხოლოდ კახეთში,  
როგორც, მაგალითად: სახელი ფარაონი იყო აღმნი-  
შნელი ეგვიპტის მეფისა, ანუ კეისარი რომის იმპე-  
რატორისა. მაშასადამე საბა-სლუხან ორბელიანის

განმარტება ქორიკოსისა და ქორებისკოპოსისა ყოველ  
ისტორიულს სიმართლეს უნდა იყოს მოკლებული.  
კახეთის მთავრები ხან ქორებისკოპოსებათ იწოდებო-  
დნენ, ხან ქორიკოსებათ და ამ ორს სახელ-წოდებას  
შუა არსებითი ვარჩევა არ ყოფილა.

—  
ვათავებ ამ ჩემს გამოკლებას ორიოდ სიტყვით  
მოსე ჯანაშვილისა და Senex'ების მიერ ცილის წამე-  
ბის ვარჩევით.

მოსე ჯანაშვილი თავის წერილს ჩემი მოსახრე-  
ბის წინააღმდეგ სხვათა შორის იწყებს ამ სიტყვე-  
ბით:\*) „გ. წერეთელმა კი იმის მაკიერ აფხაზურთ (?)  
ლექიკონი უკუგადო, ესე იგი სიტყვა ლაშა აფხაზურ  
ენიდან სესხებულად კი არ ჩასთვალა, არამედ მის  
შესახებ გამოსტევა ესრეთი აზრი: „ეინ იცის, იქნე-  
ბა ეს სიტყვა (ლაშა) თვით თამარს ჰქონდა პირველ  
ქმრისაგან ნასწავლი რუსულ ენიდანა“ო, ესე იგი  
ის დასკვნა გამოდის, რომ რუსული ყუყუნი ლაშად  
გადაკეთებულა“-ო. ერთი კეთილი ბ-მ. ჯანაშვილს,  
რატომ გამოდის „ესე იგი ის დასკვნა, რომ რუსუ-  
ლი ყუყუნი ლაშად გადაკეთებულა?“ ეს დასკვნა მხო-  
ლოდ თქვენ გამოგყავთ, ბ-ნო მ. ჯანაშვილიო, თო-  
რემ ჩემ ნათქვამში ეს დასკვნა სრულუბითაც არ გა-  
მოდის. აი, ამისთანა შემთხვევაშია ნათქვამი ქართუ-  
ლი ანდაზა: „კარგ მთქმელს კარგი გამკონე უნდაო“.  
ბ-ნ მოსე ჯანაშვილს რომ მეთოდურად ჰქონოდა  
შესწავლილი ის მეცნიერება, რომელიმედაც ასე რი-  
ხიანად ეწევა ბაასს, უფქველად იგი სულ სხვა ნაი-  
რად გაიგებდა ჩემგან წარმოთქმულს ჰიპოტეზას. ნუ  
თუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ სხვა-და-სხვა მო-  
დგმის სლოგენები მეცამეტე საუკუნისა ყველანი ახ-  
ლანდელ რუსულ ენაზე ლაპარაკობდნენ?... მე ეს სრუ-  
ლებითაც არა მგონია; ამაზე არავითარი წერილო-  
ბითი საბუთი მაშინდელის რუსულის ენის დიალექ-  
ტებისა ჩვენამდე არ მოწვენილა, გარდა ერთი სახა-  
რებისა, რომელიც აღმოჩენილა იარსლავეში და იმა-  
საც ამბობენ, რომ ბოლგარულბუკოენის ენაზე  
არისო დაწერილი და არა რუსულად ენაზე.†) იმ დროს  
არავითარი რუსული ენის ლიტერატურა არ არსე-  
ბობდა. მაშინ სლოგენის ტომნი შრავალგვარებად  
იყოფოდნენ და ყოველს გვარს თავისი დიალექტი  
ჰქონდა, რომელნიც ერთმანეთში ისე განარჩეოდნენ,  
როგორც დღეს ქართული და მეგრული ერთმანეთ-  
ში. სუხდალიაში, საიდანაც იყო თამარ მეფის მეუღ-

\*) იხილეთ „ივერია“ მე-199 №-ი.

†) იხილეთ მეშვიდე ანბოლოგოური კრების ანგარიშები  
და მოსტენებები.

ლე გიორგი, დრეველიანები ცხოვრობდნენ და ეს დრეველიანები დღეს აღარ არიან. არხეოლოგიურმა გამოკვლევამ კი აღმოაჩინა, რომ ეთნოგრაფიულად დრეველიანები სულ სხვა ტომისა და ეტნიურის თვისების ყოფილან, ვიდრე სევერიანები, საიდანაც წარმოსდგა დღევანდელი რუსული ენა.

